**შპს „ესპრესო ჯორჯია"**

**ს.ნ. 205083416**

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

**შპს „ესპრესო ჯორჯია"**
**მოგებისა და ზარალის ანგარიშგება**
**2023 საანგარიშგებო წლისთვის**
(ლარში)

| | შენიშვნა | 2023 | 2022 (გადაანგარიშებული) |
|---|---|---|---|
| ამონაგები | 7 | 3,913,245 | 4,725,261 |
| რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება | 7 | (2,342,910) | (3,805,357) |
| **საერთო მოგება** | | **1,570,335** | **919,904** |
| შრომის ანაზღაურება | 9 | (217,141) | (270,099) |
| საიჯარო ქირა | | (153,213) | (157,235) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | | (278,799) | (86,237) |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | 10 | (470,678) | (547,615) |
| **საოპერაციო მოგება** | | **450,504** | **(141,282)** |
| არასაოპერაციო შემოსავალი | | 232,952 | 1,048,668 |
| საპროცენტო ხარჯი | 8 | (190,185) | (150,544) |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი | | (288,028) | (205,849) |
| სავალუტო გაცვლითი კურსის ეფექტი | | (28,700) | - |
| **მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე** | | **176,544** | **550,993** |
| გადასახადი | | (32,193) | (5,591) |
| **წმინდა მოგება (ზარალი)** | | **144,351** | **545,402** |
| **გაუნაწილებელი მოგება პერიოდის დასაწყისში** | | **(2,040,994)** | **(2,586,396)** |
| პერიოდის მოგება/ზარალი | | 144,351 | 545,402 |
| გამოცხადებული დივიდენდები | | (0) | 0 |
| **გაუნაწილებელი მოგება პერიოდის ბოლოს** | | **(1,896,643)** | **(2,040,994)** |
| | | - | - |

დირექტორი _____ ვაჟა ჩხეიძე

**შპს „ესპრესო ჯორჯია"**
**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**
**2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**
(ლარში)

| | შენიშვნა | 2023 | 2022 (გადაანგარიშებული) | 2021 |
|---|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | | |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | | |
| ძირითადი საშუალებები | 5 | 152,437 | 403,837 | 552,606 |
| არამატერიალური აქტივები | | 1,201 | 2,015 | 2,828 |
| | | **153,638** | **405,851** | **555,434** |
| **მოკლევადიანი აქტივები** | | | | |
| სხვა მიმდინარე აქტივები | | - | - | - |
| მარაგები | | 1,642,836 | 731,221 | 540,338 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | | 541,954 | 546,490 | 586,202 |
| გადახდილი ავანსები | | 278 | 231 | 186 |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 6 | 27,088 | 24,294 | 123,780 |
| | | **2,212,156** | **1,302,236** | **1,250,505** |
| **სულ აქტივები** | | **2,365,794** | **1,708,087** | **1,805,939** |
| **კაპიტალი და ვალდებულებები** | | | | |
| **კაპიტალი** | | | | |
| საწესდებო კაპიტალი | | - | - | - |
| გაუნაწილებელი მოგება | | (1,896,643) | (2,040,994) | (2,586,396) |
| | | **(1,896,643)** | **(2,040,994)** | **(2,586,396)** |
| **ვალდებულებები** | | | | |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | | 504,517 | 459,148 | 809,807 |
| სხვა მიმდინარე ვალდებულებები | | 462,310 | 4,910 | 41,764 |
| სესხები | 8 | 3,783,328 | 3,274,678 | 3,578,919 |
| საგადასახადო ვალდებულებები | | (487,718) | 10,344 | (38,156) |
| | | **4,262,436** | **3,749,081** | **4,392,334** |
| **სულ ვალდებულებები და კაპიტალი** | | **2,365,794** | **1,708,087** | **1,805,939** |
| | | - | - | - |

დირექტორი _____ ვაჟა ჩხეიძე

**შპს „ესპრესო ჯორჯია"**
**ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება**
**2023 საანგარიშგებო წლისთვის**
(ლარში)

| | 2023 | 2022 (გადაანგარიშებული) |
|---|---|---|
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | | |
| წმინდა მოგება / (ზარალი) | 144,351 | 545,402 |
| არა-ფულადი ოპერაციების კორექტირება | 312,632 | 218,872 |
| **ცვლილება სამუშაო კაპიტალში** | | |
| სავაჭრო მოთხოვნები | (23,763) | 111,875 |
| მარაგები | (911,615) | (190,883) |
| სხვა მიმდინარე აქტივები | 28,251 | (72,209) |
| სავაჭრო ვალდებულებები | 45,369 | (350,659) |
| სხვა მიმდინარე ვალდებულებები | (40,663) | 11,646 |
| **წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | **(445,437)** | **274,044** |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | |
| ძირითადი საშუალებების შესყიდვა | (31,719) | (69,290) |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვა | - | - |
| **წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | **(31,719)** | **(69,290)** |
| **ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან** | | |
| ცვლილება საკუთარ კაპიტალში | - | - |
| გაცემული დივიდენდი | 0 | (0) |
| ცვლილებები სასესხო ვალდებულებებში | 508,650 | (304,241) |
| **წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან** | **508,650** | **(304,241)** |
| **ფული პერიოდის დასაწყისში** | **24,294** | **123,780** |
| **წმინდა ფულადი ნაკადები** | **31,494** | **(99,486)** |
| **სავალუტო კურსის ეფექტი** | **(28,700)** | **-** |
| **ფული პერიოდის ბოლოს** | **27,088** | **24,294** |
| | 0 | (0) |

დირექტორი _____ ვაჟა ჩხეიძე

## ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

### 1. ძირითადი ინფორმაცია და საქმიანობა

შპს „ესპრესო ჯორჯია" (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა საქართველოში 2005 წლის 5 აგვისტოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 205083416.

კომპანიის ძირითად საქმიანობას 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა ყავით, ჩაით, კაკაოთი და სანელებლებით.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, პეკინის ქ. 8.

### 2. მომზადების საფუძველი

#### 2.1 შესაბამისობის განცხადება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის წლიურ ანგარიშგებას, რომელიც შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

#### 2.2 გაანგარიშების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

#### 2.3 საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

#### 2.4 შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების "მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების" შესაბამისად მომზადებისთვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენს წარმოდგენილი აქტივებისა და პასივების ანგარიშგებაზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე შემოსავლებზე და ხარჯებზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

#### 2.5 ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით. კომპანიის ხელმძღვანელობას განზრახული არა აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის, ასე რომ მოიქცეს.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

### 3.1 უცხოური ვალუტა

ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

### 3.2 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკში არსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს.

### 3.3 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლისგან მისაღები თანხები, იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საეჭვო ვალები. საეჭვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

### 3.4 ძირითადი საშუალებები

**აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

**შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთებისა და რემონტის ყველა სახის ხარჯი, აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

### 3.4 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

**ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. ძირითად საშუალებებზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე გამოყენებული სასარგებლო მომსახურების ვადებია:

| ჯგუფი | სასარგებლო მომსახურების ვადა |
|---|---|
| შენობა-ნაგებობები | 40 წელი |
| მანქანა-დანადგარები | 15 წელი |
| სატრანსპორტო საშუალებები | 7 წელი |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი | 10 წელი |

### 3.5 არამატერიალური აქტივები

**აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამრტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

**ამორტიზაცია.** ლიცენზიებზე და პროგრამულ უზრუნველყოფაზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით - წლის განმავლობაში.

### 3.6 მარაგები

კომპანიის მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ ხარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

### 3.7 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები

სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა შელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმ შემთხვევაში თუ მათი გადახდა ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში, მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად შესაბამისად.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

### 3.8 სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების განეტების საშუალებით. აღიარების შემდგომ ისინი წარდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით. ნებისმიერი სხვაობა ნაკადებსა და დაფარვის ღირებულებას შორის აღიარდება სესხის მთლიანი პერიდის განმავლობაში მოგება-ზარალის პერიოდში.

### 3.9 იჯარა

საოპერაციო იჯარად განიხილება იჯარა, რომლის შემთხვევაშიც აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებელის გადაცემა არ ხდება მოიჯარეზე. საპირისპირო შემთხვევაში იჯარა განიხილება, როგორც ფინანსური იჯარა. საოპერაციო იჯარის ფარგლებში გადახდილი სახდელები აისახება მოგება - ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით იჯარის მთელი პერიოდის მიხედვით. ფინანსური იჯარის შემთხვევაში აქტივის კაპიტალიზაცია ხდება მოიჯარესთან, აქტივის სამართლიან ღირებულებასა და მინიმალურ საიჯარო გადასახადების მიმდინარე ღირებულების უმცირესი თანხით.

ფინანსური იჯარის შემთხვევაში ყოველი საიჯარო გადასახადის განაწილება ხდება საიჯარო ვალდებულებასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯის (პროცენტი) დარიცხვა მოგება - ზარალის ანგარიშგებაში ხდება იმდაგვარად რომ გამოყენებული იყოს მუდმივი განაკვეთი საიჯარო ვალდებულებების მიმდინარე ბალანსთან მიმართებაში. იჯარის ფარგლებში მიღებული ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხორციელდება საიჯარო ვადასა და აქტივის ცხოვრების ხარგრძლივობის შორის უმცირესი ვადის მიხედვით.

### 3.10 გადასახადები

**მოგების გადასახადი.** 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

შესაბამისად კომპანია არ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასხადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნა მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგდასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასხადები,რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება, აღიარდება აქტივად.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

### 3.11 კაპიტალი

ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლის მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლის შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

აკუმულირებული მოგება/ზარალი შეიცავს წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება/ზარალს.

### 3.12 ამონაგების აღიარება

გაყიდული მომსახურების აღიარება ხდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს და ფასდათმობის გარეშე.

ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რელური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლისთვის/გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხების ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც მისი ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, ამონაგები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

### 3.13 სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისთვის.

### 3.14 ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედო შეფასება.

## 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეულ სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდში მიღებული ფაქტობრივი შედეგები, შესაძლოა, განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

## 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

**საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გარკვეულ საგადასხადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხზე.

## 5. ძირითადი საშუალებები

| | მიწის ნაკვეთები | შენობა-ნაგებობები | მანქანა-დანადგარები | სატრანსპორტო საშუალებები | ავეჯი და სხვა ინვენტარი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **წმინდა საბალანსო ღირებულება 1 იანვარი 2022წ** | - | 155,547 | 207,982 | 38,214 | 150,863 | 552,606 |
| დამატება | - | - | 25,126 | 41,513 | 2,651 | 69,290 |
| გასვლა | - | - | 93.988 | 12.625 | 66.204 | 172.816 |
| პერიოდის ცვეთა | | 3.858 | 22.508 | 4.064 | 14.812 | 45.243 |
| **წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2022წ** | - | 151,689 | 116,612 | 63,038 | 72,498 | 403,837 |
| დამატება | - | - | 11,364 | 17,600 | 2,755 | 31,719 |
| გასვლა | - | 151.689 | 46.526 | 5.133 | 56.015 | 259.363 |
| პერიოდის ცვეთა | | - | 12,548 | 5,232 | 5,976 | 23,756 |
| **წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2023წ** | - | - | 68,903 | 70,273 | 13,261 | 152,437 |

## 6. ფული და ფულის ექვივალენტები

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ფული და ფულის ექვივალენტები უფიქსირდება ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.

| | 2023 | 2022 |
|---|---|---|
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში | 7,258 | 11,042 |
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 6,141 | 12,821 |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 13,689 | 430 |

## 7. ამონაგები და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის შემოსავალი დაგენერირებულია ისეთი საქმიანობებიდან, როგორიცაა რძის ნაწარმის წარმოება და რეალიზაცია.

| | 2023 | 2022 |
|---|---|---|
| ამონაგები | 3,913,245 | 4,725,261 |

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს ნედლეულის ხარჯებს და ტარას

## 8. სესხები და ანარიცხები

| მიღებული სესხები | 2023 წლის 31 დეკემბერი | 2022 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| მიღებული სესხი (ლარი) | 3,783,328 | 3,274,678 |

| საპროცენტო ხარჯი | 2023 | 2022 |
|---|---|---|
| საპროცენტო ხარჯი ლარში | 190,185 | 150,544 |

## 9. შრომის ანაზღაურება

მოიცავს პირდაპირ შრომით დანახარჯებებსა და ადმინისტრაციულ შრომის ანაზღაურებას

## 10. სხვა საოპერაციო ხარჯები

| | 2023 | 2022 |
|---|---|---|
| კომუნალური ხარჯი | 84,434 | 110,134 |
| პროფესიული მომსახურება | 1,875 | 10,000 |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯები | 318,085 | 360,869 |
| სხვა ხარჯები | 66,285 | 66,613 |
| | 470,678 | 547,615 |

## 12. სამართლიანი ღირებულებები და რისკების მართვა

### 12.1 სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია ფასის განსაზღვრა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისგან, ან გადახდილ იქნება ვალდებულების გადაცემისთვის, ბაზრის მონაწილეებს შორის სტანდარტული ოპერაციის ფარგლებში, შეფასების თარიღისთვის. თუმცა, შეფასებასთან დაკავშირებული გაურკვევლობებიდან და სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულების გადაცემისას.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას მათი მოკლევადიანი ბუნების გამო.

### 12.2 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ასეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. კომპანია, შეძლებისდაგვარად, ცდილობს ლიკვიდურობის მართვას, რათა ყოველთვის ჰქონდეს ვალდებულებების ვადაში დაფარვის შესაძლებლობა, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდში მიუღებელი დანაკარგების ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

### 12.3 საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ცვლილებები საბაზრო ფასებში, როგორიცაა გაცვლითი კურსები, საპროცენტო განაკვეთები და კაპიტალის ფასები, გავლენას მოახდენს კომპანიის შემოსავალზე ან მის მფლობელობაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო მართვის რისკის მიზანია საბაზრო რისკზე დაქვემდებარების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

დირექტორი _____ ვაჟა ჩხეიძე

*** დოკუმენტის დასასრული ***